

მირანდა ტყემელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

**მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული
პუბლიცისტიკის ეროვნული პარადიგმა**

ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, როგორც სოციალური მოძრაობა და სიმბოლური ენა, ყველაზე მკაფიოდ აისახება პუბლიცისტიკაში. ნაციონალიზმის მნიშვნელობა მხოლოდ პოლიტიკის სფეროთი არ შემოიფარგლება, მას კულტურული და ინტელექტუალური შინაარსიც აქვს.

ქართული ნაციონალური იდენტობის საფუძველი ბრძოლებისა და თავგანწირვის ფაქტებით სავსე, გათავისუფლების ისტორიაა. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი ერი განსხვავებული გამოწვევების წინაშე დადგა. მას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა შეიარღობული დაპირისპირებების ნაცვლად, განათლებით, ცოდნითა და საქმით უნდა განეგრძო. ამ ახალი მშვიდობიანი ბრძოლის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ იმპერიის იდეოლოგებსაც, ამიტომაც დაპირისპირება რუსულენოვან, რუსული იმპერიალიზმის იდეოლოგიის გამტარებელ პრესასა და ქართულ ეროვნულ პერიოდიკას შორის განსაკუთრებულ სიმძაფრეს აღწევდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში გამომავალი რუსული გაზეთები, ასევე სომხური და რუსული ორიენტაციის მქონე პარტიების პერიოდული გამოცემები, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის დაცვას ემსახურებოდნენ, აკრიტიკებდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, აკნინებდნენ ყველა ეროვნულ მოვლენას.

რუსულმა და რუსული ორიენტაციის სხვა პრესამ უარყოფითი როლი ითამაშა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, გახლიჩა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეები, ხელი შეუწყო ტერორსა და რეპრესიებს ქართული ეროვნული ძალების წინააღმდეგ, შეეცადა ქართველთა ეროვნული ღირებულებების დაკნინება-დევალვაციას. ისედაც სხვადასხვა დასებად, პარტიებად,

ჯგუფებად დაშლილი ქართველი ინტელიგენცია, ანტიქართული პრესის ნაქეზებით, ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდა ერთმანეთს და საქვეყნო ინტერესები, პირად შულსა და მტრობაში იცვლებოდა.

თავის მხრივ, ქართული ეროვნული პრესა ცდილობდა, დამაჯერებელი, ლოგიკური პასუხები გაეცა რუსული პერიოდული გამოცემების ანტიქართული პუბლიკაციებისათვის.

ანტიქართული იდეოლოგიის მკვეთრად გამომხატველი იყო თბილისში გამომავალი გაზეთი „გოლოს კავკაზა“, რომელიც არცთუ იშვიათად, ქართველის ერის შეურაცხმყოფელ სტატიებს ბეჭდავდა და იმსახურებდა ქართველ პუბლიცისტთა აღშფოთებას, რომლებიც 1907-1910 წლების რეაქციის პირობებშიც ამხელდნენ ცარიზმის შოვინისტურ კურსს, იმპერიაში შემავალი არარუსი ერებისადმი მის დამოკიდებულებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინოდა ქართული გაზეთი „დროება“, რომელიც ასე აანალიზებდა „გოლოს კავკაზა“-ს ანტიქართულ პოლიტიკას:

„არც ერთი გონიერი ადამიანი არ უნდა შეურაცხყოფდეს ნაციონალურ გრძნობებს... ნაციონალურ შეურაცხყოფას სიფრთხილით უნდა ექცეოდეს პრესა, რომელსაც ერთის მხრივ საჯარო ხასიათი აქვს, მეორეს მხრივ გამომხატველია არა ერთის კალმოსნის ფიქრისა, არამედ მთელის ჯგუფებისა“.

ეს საანბანო ჭეშმარიტება შეუძლებელია არ იცოდნენ იმ რაინდებმა, რომლებიც ტფილისში გაზეთ „გოლოს კავკაზა“-ს გარშემო ტრიალებენ. იციან, ძლიერ კარგად იციან, მაგრამ მათ ალბათ ქართველ ერზე ექსპერიმენტის მოხდენა განიზრახეს და საახალწლო ნომერში ისეთი დამამცირებელი ძღვენი მიართვეს მას, უარესი სწორედ ძნელი წარმოსადგენია. რუსული პატრიოტიზმი ჩვენს დროში ფოლადის ჯავშანია, ვინც ამ ჯავშანში ჩაჯდება, იმას ყველაფრის თქმა შეუძლიან, უფრო მეტიც, იმას შეუძლიან დამამცირებელი კითხვები დაგიყენოს წინ და განცხრომილი და დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ პასუხს ვერ მიიღებს, იმიტომ რომ, ვისაც ეკითხება, იმას პირში ბურთი აქვს ჩაჩრილი. „მოგვანოდეთ სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ სად, როდის და რით გამოიხატა ქართული კულტურის სიდიადეო“, ბრძანებს „გოლოს კავკაზა“ და შემდეგ განმარტავს: ჩვენ (რუსებმა) გაგასუფთავეთ, გაგწმინდეთ, გასწავლეთ საცვლების გამოცვლა და მოგეცით განათლება“-ო. ამაზე შორს ნაციონალური თავმოყვარეო-

ბის შელახვა, ვფიქრობთ, ველარსად წავა. ქართველი ერი ჰგრძნობს ამ შეურაცხყოფას, მაგრამ იძულებულია ჩუმად იყოს. ჩვენ ვიცით, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის პატრიოტი „კულტურტრეგერები“ სკოლას და ცოდნას რუსიფიკაციის იარაღად ხმარობდნენ, ვიცით, რომ ამ მიზეზით მათ მოსპეს და გაანადგურეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები (მარტო კახეთში რუსეთთან შეერთების დროს ოთხი უმაღლესი სასწავლებელი იყო), ვიცით, რომ სისტემატიურად აჩანაგებდნენ ასი წლის განმავლობაში მთელი ერის ეკონომიურ სიმდიდრეს (მოვიგონოთ საქართველოს ეკლესიის ქონების მითვისება, საქართველოში თათრების, სომხების, გერმანელებისა და სხვათა ჩამოსახლება ნაციონალური მთლიანობის დასარღვევად), ვიცით, რომ ეხლაც კი, ტფილისიდან ოცი ვერსის (კილომეტრის) მანძილზე ერთ სოფელში ხალხისაგან სასკოლოდ აგებული შენობა თავლად გადააქციეს სამხედროების ცხენებისათვის, ვიცით კიდევ მრავალი სულისშემხუთავი ამბავი, მაგრამ ძალა აღმართსა ჰხნავს და შეურაცხყოფილ გრძნობებს ჯერ კიდევ ვერ გამოჰფენს...“ [1].

პუბლიკაციის დასასრულს, „დროება“ აკრიტიკებდა ქართველ ინტელიგენციას, ბრალს სდებდა მას ქართული ენის, ისტორიის ეროვნული იდეალების დავინყებაში, უმოქმედობაში, რითიც ხსნიდა „რუსეთის გათამამებას“ და ანტიქართული პოლიტიკის გააქტიურებას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მისი ეს კრიტიკა და ბრალდებები გაზვიადებული და იმით გამოწვეული იყო, რომ გაზეთი სოციალისტურ მიმართულებას ერთგულებდა და ამ იდეოლოგიასთან დაპირისპირებულ, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა წინააღმდეგ აღშფოთება პარტიულ-იდეოლოგიური დაპირისპირებით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე რეალობის ჩვენებით.

1909 წელს „დროებაში“ დაბეჭდილი არჩილ ჯორჯაძის წერილი „ანწყო და მომავალი“ განიხილავდა რუსი ავტორის, ევრეინოვის წიგნს, რომელიც ოფიციალური რუსეთის მიზნებსა და ამოცანებს გამოხატავდა. „უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ის თვალსაზრისი, რომლითაც უყურებს კავკასიას რუსეთის პატრიოტი“, – წერდა არჩილ ჯაჯანაშვილი. „კავკასიას ისე უნდა ვუყუროთ, როგორც კოლონიას“-ო, გადმოსცემდა ჯაჯანაშვილი ევრეინოვის შეხედულებას, „... კოლონიის არსებითი მნიშვნელობა კი სახელმწიფოსათვის იმაში მდგომარეობს, რომ ის ყოველნაირ გონებას თავის სასარგებლოდ იყენებს. კოლონია წყაროა სახელმწიფოს ექსპლუატაციისათვის, რადგან

კავკასიას ისე ვუყურებთ, როგორც კოლონიას, ამიტომ პოლიტიკაც და მუშაობაც ისეთი უნდა გავწიოთ იქ, როგორც კოლონიას შეეფერება, კავკასიის მედგარი ბუნება რუსეთმა თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოსო“.

ჯაჯანაშვილის აზრით, ევრეინოვი მყვირალა რუს პატრიოტებზე მალა იდგა, რადგან პრაქტიკულ იდეებს იძლეოდა საქართველოს, როგორც რუსეთის კოლონიის, ასათვისებლად. პუბლიცისტის განსაკუთრებული აღმფოთება გამოუწვევია რუსი ავტორის იდეებს კავკასიაში გასატარებელი ეროვნული პოლიტიკის შესახებ: „კავკასიელი ერები, ეს ნამდვილი პატრონი თავიანთი მამულ-დედულისა, როგორღაც თვალში ეჩხირებათ რუსის პატრიოტებსა და „დიდებული რუსული საქმის“ გაკეთებას, ცოტა არ იყოს, ხელს უშლიან. როგორ სწყვეტს ევრეინოვი ამ საკითხს? რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს ამ წვრილ ერთა ასიმილაციას და ამიტომ კიდევ უნდა გადაგვარდნენ ისინი, აღმოიფხვრან, გარუსდნენო. ნაძალადევი ასიმილაცია, ნაძალადევი გადაგვარება, ნაძალადევი გარუსება, – აი რაა საჭირო გზის გასაკაფავად და რუსული საქმეების კეთილად დასავიზგვინებლად“-ო.

ამ მიზნის განსახორციელებლად, ევრეინოვის აზრით, რეპრესიები არ გამოდგებოდა, რადგან ის ხალხს უფრო გამოაფხიზლებდა და პოლიტიკურ ცნობიერებას გაუღვივებდა. ყველაფერი ნელ-ნელა, ხალხის გაღიზიანების გარეშე უნდა მომხდარიყო. საამისოდ, უპირველესი საქმე გახლდათ ის, რომ განათლების მიღების სავალდებულო და ერთად-ერთი ენა გამხდარიყო რუსული, რუსული კულტურა ქართულ ნიადაგზე რუსული ენით გადმონერგილიყო. ასე ადგილობრივი კულტურა შევიწროვდებოდა და საბოლოოდ, გაქრებოდა კიდევ [2].

არჩილ ჯაჯანაშვილი მართებულად აღნიშნავდა, რომ მსგავსი პოლიტიკა რუსეთს ევრეინოვამდეც ჰქონდა შემუშავებული. რუსული ბიუროკრატია, საჭიროებისამებრ, ხან მკაცრ ზომებს ატარებდა დაპყრობილ ქვეყანაში, ხანაც მოჩვენებით ჰუმანურობას ავლენდა, რაც პატრიოტ საზოგადო მოღვაწეებს მხედველობიდან არ ეპარებოდათ.

საქართველოში გამომავალი ანტიქართული იდეოლოგიის მქონე რუსულენოვანი პრესის პოზიციაც ევრეინოვის შეხედულებათა იდენტური გახლდათ, რაც ქართველი ინტელიგენციას აშფოთებდა. ამ საკითხს ეხებოდა არჩილ ჯორჯაძე „დროებაში“ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში „გარდამავალი ხანა“ [4].

არჩილ ჯორჯაძის აზრით, საქართველოში არსებული რუსული პრესა ცდილობდა ზეგავლენის მოპოვებას ქართველ ხალხზე, როგორც იდეურად, ასევე ქართული ენის შევიწროების მეშვეობით. ენის გარეშე, შეუძლებელი იყო ქართული კულტურის განვითარება. ჯორჯაძეს მიაჩნდა, რომ რუსულ საზოგადოებასთან დაახლოვება ამ პრესით ვერ მოხერხდებოდა, რადგან ის საქართველოში გამოდიოდა. სხვა იყო რუსეთში გამომავალი პრესა, თუკი იქ მართალი ინფორმაციები დაინერებოდა საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ, ეს სრულიად სხვა შედეგს მოიტანდა.

არჩილ ჯორჯაძე გააკრიტიკა მიხეილ თუმანიშვილმა, რომლის აზრით, რუსეთში გამომავალი პრესის მსგავსად, საქართველოს რუსულ პერიოდიკასაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. ეს იქნებოდა „ქართველების შეკავშირება კავკასიაში მცხოვრებ დანარჩენ ერებთან“. „აქ რუსულ გაზეთს დიდი სამსახურის განევა შეუძლია, – ნერდა თუმანიშვილი, – რუსული ენა დღესდღეობით სახელმწიფო ენაა, ესე იგი, ის ენა, რომელიც მიღებულია სალაპარაკოდ იმათში, ვისაც ერთმანეთის ენა არ ესმის. ქართველს სომეხთან მოლაპარაკება თუ უნდა, ძალაუვნებურად რუსულს მიმართავს“. გაზეთი „დროება“ აკრიტიკებდა თუმანიშვილსა და მის მოსაზრებებს საქართველოში რუსული პრესის აუცილებლობის თაობაზე [5].

რუსულ ჟურნალისტიკას შეეძლო მართლაც დადებითი როლი ეთამაშა: რუსულენოვანი მკითხველისათვის ემცნო საქართველოში არსებული როგორც ეროვნული, ისე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მაგრა ის, ძირითადად ამას არ აკეთებდა, ასრულებდა უარყოფით როლს, იყო მეფის ხელისუფლებისა და ბიუროკრატიული აპარატის იდეოლოგიური იარაღი ქართველი ხალხის დამონების საქმეში, კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი და განუხრელად დამცველი. ის ეხმარებოდა ცარიზმს კავკასიის მართვაში, ამართლებდა ყველა სამთავრობო ღონისძიებას, მათ შორის შავრაზმულსაც. ეროვნული მიმართულების ქართული პრესა მძაფრად უპირისპირდებოდა ამ იდეოლოგიას, აკრიტიკებდა მას, ხალხს მოუწოდებდა უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თბილისში გამომავალი „გოლოს კავკაზა“, რომელსაც კავკასიელ ხალხთა ნამდვილი გულისტკივილი უნდა გამოეხატა, ანტიქართული პუბლიკაციებით გამოირჩეოდა გაზეთი აკრიტიკებდა საქართველოს ისტორიულ წარსულს, ამცირებდა ქართულ კულტურას, რაც ერთი

მხრივ დადებითი შედეგის მომტანიც კი იყო: ეს ყველაფერი იმდენად ღრმად ეხებოდა ქართულ თავმოყვარეობას, ერის ღირსებას, რომ აძლიერებდა ქართველთა ანტიიმპერიულ განწყობას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუხტს, რასაც არ შეიძლებოდა სამომავლოდ უკვალოდ ჩაეველო, მით უფრო, ძლიერი რეაქციის პირობებში. დაძაბული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ქართული პრესა მაინც არ კარგავდა ეროვნულ პოზიციას, მწვავე პუბლიცისტური ხერხებით აკრიტიკებდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, იცავდა ერის ინტერესებს.

1909 წელს რუსეთში იზეიმეს იმდროინდელი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მოღვაწის – ა. ს. სუვორინის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ქართულმა გაზეთებმა უშიშრად აღნიშნეს იუბილარის „დამსახურება“ ე. წ. „ინოროდცების“ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. „ჩვენ, არარუსთ, არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვით არ გამოვთქვათ ის მწარე გრძნობა, რომელსაც გვიღვიძებს ამ მოღვაწის დღესასწაული, – წერდა „დროება“, – არსად ისე დამცირებული და აბუჩად აგდებული, მიწასთან გასწორებული არ არის უცხო ერი გაბატონებული ერისგან, როგორც რუსეთში. ევროპის არცერთ ხალხს არ შეუქმნია განსაკუთრებული ტერმინი დამონებული ერებისათვის, მხოლოდ რუსეთმა მოიგონა სიტყვა „ინოროდეცი“ და მთელის თავისის შოვინისტური შხამით გაჟღინთა ეს სიტყვა“.

გაზეთი გმობდა რუსეთის თავად-აზნაურთა კრებებზე გამომსვლელთა, რუსეთის სათათბიროს დეპუტატთა და რუს პუბლიცისტთა აზრებს, რომელთა მიხედვითაც, იაპონიასთან ომში მარცხიც „ინოროდცებს“ ბრალდებოდათ, თბილისში მომხდარი კრიმინალური შემთხვევები ქართველების მხრიდან რუსების სიძულვილით იყო ახსნილი. „ინოროდცებისდმი“ მტრობა და ზიზღი ამჟამად უმწვერვალეს წერტილამდე ავიდა და ვინ იცის, რა ცუდ დღეებს გვიქადის კიდევ რუსეთის ახლო მომავლის ისტორია“, – კითხულობდა ქართველი პუბლიცისტი. სუვორინსა და მის გაზეთს, „ნოვოე ვრემიას“, დიდი წვლილი მიუძღვოდათ ასეთ დამოკიდებულებაში, სიტყვა „ინოროდეცის“ შექმნასაც „დროება“ სუვორინს უკავშირებდა, რის დასტურადაც მოჰქონდა სიტყვები „ნოვოე ვრემიას“ სარედაქციო სტატიიდან: „ჟიდ“, „პოლიაკ“, „გრუზინ“ და სხვა. „აი, ვინ დაღუპა რუსეთი, აი, ვინ დააუძლურა გმირი სლავიანური ერი, ვინ ჩააგდო გამოუვალ კრიზისში დიდი სახელმწიფო“, – დაურიდებლად წერდა „დროება“ [6].

ვრცელ წერილში „ერის გადაგვარება“ – პუბლიცისტი გიორგი ჭუმბურიძე აკრიტიკებდა „გოლოს კავკაზას“ ანტიქართულ პოზიციებს, რუსეთის იმპერიის ეროვნულ პოლიტიკას და კულტურული ერისთვის მიუღებლად აცხადებდა მას. პუბლიცისტის აზრით, რუსი ერი გადაგვარებული იყო, რასაც ცხადყოფდა მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. „კულტურულად აღზრდილი და მაღალი განვითარების მქონე ერი, – წერდა ავტორი, – არასოდეს ცდილა და არც ეცდება სუსტი, უძლური ერის განადგურებას ამ აშკარა ველური საშუალებებით, რომლითაც ჰფიქრობს „გოლოს კავკაზა“ პატარა ერის მოსპობას, ალგვას პირისაგან მიწისა“.

პუბლიცისტი ქართველი ერის ძლიერ იარაღად მის გამორჩეულ, თავისთავად კულტურას თვლიდა, სწამდა, რომ ეს კულტურა ვერ დააკნინა ვერც რუსეთის შოვინისტურმა კოლონიურმა პოლიტიკამ. ამის დასტურად ასახელებდა გიორგი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის შემოქმედებას, რომლებსაც ქართული ლიტერატურის ისეთივე კლასიკოსებად მიიჩნევდა, როგორებიც იყვნენ ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი. ამ ავტორების ნაკლებ პოპულარობას საქართველოში იგი რუსეთის პოლიტიკას აბრალებდა. „მერე რა არის ამის მიზეზი? – კითხულობდა პუბლიცისტი, – უპირველეს ყოვლისა, გაბატონებული ერის მიერ გამეფებული გარუსების პოლიტიკა, განდევნა საშუალო სასწავლებლებიდან და, ასე გასინჯეთ, პირველდანიყებითი სკოლებიდანაც კი სამშობლო ენისა, ხოლო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებიდან კი ყოველივე ქართველური მისწრაფებების, სულისკვეთების ძირიანფესვიანად აღმოფხვრა-განადგურების ტენდენცია“.

პუბლიცისტი ქართული კულტურის წარმატების საწინდრად მიიჩნევდა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების მომრავლებას, ქართული ლიტერატურის წინსვლას, პრესის მრავალფეროვნებას, ქართული თეატრის, სახვითი ხელოვნების, მუსიკალური ტრადიციების გაგრძელებასა და განვითარებას. მისი აზრით, ქართველი ერის გადაგვარებას ვერავინ შეძლებდა, ვერავინ მოსპობდა მის უკვდავ სულს [7].

ქართული ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ გამოდიოდნენ სომხური გაზეთები – „მშაკი“, „აშხატავორი“, რუსული „ზაკავკაზი“, რომლებსაც აკრიტიკებდა გაზეთი „საქართველო“.

„მშაკი“ კამათობდა ქართველი გრიგორიანების საკითხზე, რომელთა დიდი ნაწილი გარკვეული მოსაზრებით გახდა სომხური ეკლე-

სიის მრევლი. გაზეთი არ იზიარებდა ქართველ ეროვნულ-დემოკრატიულ თვალსაზრისს და ნიშნისმოგებით პასუხობდა მათ: თუ ენა არის ყველაზე ძლიერი საბუთი ამა თუ იმ ეროვნაბზე მისაკუთვნებლად, ქართველები რაღად ეჭიდებით გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომლებმაც აღარც ქართული ენა იციან და თავსაც აღარ თვლიან ქართველებადო, რატომ ცდილობთ, გაუხსნათ მათ ეროვნული სკოლები, ჩვენი ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ რატომ გამოდიან თქვენი გაზეთები: „ზაკავკასკოე რეჩ“, „საქართველო“, „ზვირთი“. ჩვენი აზრით, – წერდა სომხური გაზეთი, – ესენი სომხები არიან, ოღონდ ქართველებში ასიმილირებულნი. შემდეგში გრიგორიანული სარწმუნოების მიღებით, ამ გაქართველებულმა, ასიმილირებულმა სომხობამ რეასიმილაცია მოახდინაო. „მშაკის“ ასეთი თვალსაზრისი ნაციონალისტ სომეხთა წისქვილზე ასხამდა წყალს სომხური პარტიის, „დაშნაკ-ცუტუნის“ პროგრამა საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე აცხადებდა პრეტენზიას, რასაც სწორედ „რეალური მოსახლეობის“ პრინციპით ხსნიდა. თუ ეს პრინციპი ვერ იმუშავებდა, მაშინ მზად იყო „ასიმილაციისა და რეასიმილაციის“ თეორიაც [8].

როდესაც სამხრეთ კავკასიაში ერობების შემოღების საკითხი დადგა, სომეხმა მოღვაწეებმა კვლავ წამოაყენეს „რეალური მოსახლეობის პრინციპით“ ტერიტორიის ერობებად დაყოფის საკითხი, რასაც პროსომხური და პრორუსული პრესაც მიემხრო. სახელმწიფო საბჭოში სიტყვით გამოსული სომეხი დეპუტატი, საღათელიანი ამტკიცებდა, რომ ქართველები და სომხები ერთმანეთს ვერ ეგუებიან, ამიტომ სომხებს რუსეთის კოლონიზაცია თუ გვიშველის და გვიხსნის ქართველებისგანო [9]. ეს ნიშნავდა იმას, რომ ქართულ-სომხური მოსახლეობით დასახლებული რეგიონებიდან ქართველები აეყარათ და მათ ნაცვლად იქ რუსი კოლონიზატორები ჩამოესახლებინათ, რაც საქართველოს ტერიტორიული მონყობის საკითხს მომავალში უკიდურესად გაამწვავებდა.

საღათელიანის გამოსვლის ტექსტი დაიბეჭდა გაზეთ „ზაკავკაზი“-ში, საიდანაც იგი გადმობეჭდა და ვრცელი კომენტარი დაურთო ქართულმა გაზეთმა „დროებამ“. „სომხის ხალხის ბურჟუაზიული ნაწილი, – წერდა გაზეთი, – ბრძოლას გვიცხადებს, ბრძოლას სამკვდრო-სასიცოცხლოს. ბატონი საღათელიანი დაშნაკ-ცუტუნის წარმომადგენელია, რამდენიმე წლის წინათ დაშნაკ-ცუტუნი ჩვენთან სო-

ლიდარობას და მეგობრობას ჰქადაგებდა. ახლა კი გვეუბნებიან, რუსეთის რეაქციონურ მთავრობას უნდა მივცეთ ხელი, რუსეთის კოლონიზაციას სიხარულით მივეგებოთ, ქართველებსა და სომხებს შორის არსებული უთანხმოება გავაღრმავოთ. დაშნაკ-ცუტუნის დეპუტატი შიშით არის შეპყრობილი, ქართველებმა არ გაგვსრისონო და მას ერთადერთი აზრი აქვს, მთავრობის დახმარებით დავამხოთ ჩვენი მტერი ქართველობაო. მეტად გულახდილი აღსარებაა. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის გამწვანების ხანაშიც კი ამგვარ ცინიზმამდე არ მისულან სომხის ერის ბურჟუაზიული წარმომადგენელი“.

გაზეთის აზრით, მიუღებელი იყო სომხების მიერ წამოყენებული სხვა მოთხოვნებიც, პროპორციული წარმომადგენლობა არჩევით ორგანოებში და სხვა.

„დროება“ იმეორებდა საღათელიანის სიტყვებს: „პირადად მე მგონია, რომ შეუძლებელია ქართველი ქართველი იყოს და არ აღშფოთდეს სომხების როლით საქართველოში“. აღშფოთება ძლიერ სუსტი სიტყვაა ჩვენი გრძნობების გამოსახატადო, დასძენდა „დროება“.

კამათში ჩაება ბაქოელი სომხების რუსულენოვანი გაზეთი „ბაკუც“, რომელმაც გამოაქვეყნა წერილების სერია საქართველოში მცხოვრები სომხებისა და ქართველების ურთიერთობაზე. გაზეთი მიუთითებდა იმ საფრთხეებზე, რაც სომხებს ემუქრებოდათ, თუკი ქართველები თავიანთ ეროვნულ ინტერესებს განახორციელებდნენ. ეს იყო ეროვნული გადაგვარება, ენის დაკარგვის საშიშროება. „ქართველი და სომეხი ბურჟუაზია სხვადასხვა ინტერესებს ატარებს, ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან: თუ ქართველი მენარმე მოგებულ იფულით შვილს ქართულად ასწავლის, დაეხმარება ქართველ ყმანვლებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობას, სომეხი შვილს რუსულად გაზრდის, შეიყვანს უცხოეთის სასწავლებლებში, დაეხმარება სომხეთისა და სხვა ქვეყნების ლტაკ სომხობას, რასაც ალბათ შენიშნავენ ქართველი ნაციონალისტები და საფრთხეს შეუქმნიან საქართველოში მცხოვრებ სომხობას“-ო, – წერდა გაზეთი „ბაკუ“.

განსაკუთრებით საშიშად მიიჩნევდა „ბაკუ“ საერობო რეფორმის გატარებას, რომელიც საქართველოში ქართულ ენას დააკანონებდა, სომხებსაც აიძულებდა ეს ენა ესწავლათ და გაქართველებულიყვნენ. თუ ახლა არიან აქ სომეხი ეროვნების „ქართველი“ მწერლები, დრამატურგები, მსახიობები, მეცნიერები, მერე რაღა იქნებაო.

„ტფილისის სომხობას არ შეუძლია გაჰქრეს, – წერდა გაზეთი, – ტფილისი მარტო საქართველოს დედაქალაქი ხომ არ არის, იგი მთელი კავკასიის დედაქალაქია და ამასთან იგი ახლოა სომხეთის პროვინციებთან, ორი საათის სავალი რკინიგზით და ჩვენ სომხეთში ვართ, მაგრამ გორი, თელავი, სიღნაღი, ველისციხე, ახალგორი, ცხინვალი, ჩხარი, – ყველა ამ ადგილის სომხები აუცილებლად გაქართველდებიან. ერთი თაობის შემდეგ ამ კოლონიების სომხობა გადაიქცევიან სომეხ-გრიგორიან ქართველებად, კიდევ ერთი თაობის შემდეგ – პირდაპირ ქართველებად. სამშობლოს ტერიტორიის გარეშე ეროვნებას არ შეუძლია სიცოცხლე. ეს კარგად უნდა ახსოვდეს იმას, ვისაც სურს სომხობის კულტურული თავისებურება დაიცვას“ [12].

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა შემდგომში ის ტერიტორიული პრეტენზიები, რომელიც სომხებმა ქართველებს ნაუყენეს და საბოლოოდ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ომიც კი დაიწყო.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული პრესის განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია რუსული კოლონიზაციის პოლიტიკამ, მთელი რიგი ანტიქართული პროექტების დაგეგმვამ და ნაწილობრივ განხორციელებამ, რომელთა შორის იყო ტირიფონას ველზე სამხედრო პოლიგონის მოწყობა, მულანლოს ველზე ბამბის პლანტაციების გაშენება და აქ აზერბაიჯანული მოსახლეობის ჩამოსახლების პროექტი, რუსული სოფლების გაშენების გეგმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კი – შავი ზღვისპირეთში.

„ტირიფონას პოლიგონის“ წინააღმდეგ მტკიცე პოზიციით გამოირჩეოდა ჟურნალი „კლდე“, რომელსაც მიაჩნდა, რომ ქართველ საზოგადოებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რათა არ დაეშვა ამ პროექტის განხორციელება [10], სწორედ ამ პოზიციიდან ეკამათებოდა გაზეთ „ერის“ (გაზ. „ერი“, 1914) კორესპონდენტს, გრ. გველესიანს, რომელიც თუმცა ამავე აზრს იზიარებდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ მთავრობას წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი არ იყო და თუკი ისე მოხდებოდა, რომ საღი აზრი ვერ გაიმარჯვებდა, მაშინ ქართველ თავადაზნაურობასა და ინტელიგენციას ტირიფონას ველიდან სოფლის აყრა ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ტირიფონას ველიდან აყრილი მოსახლეობა თბილისში, თავადაზნაურობის კუთვნილ მიწებზე ჩაესახლებინა და ამით დედაქალაქში ქართული ელემენტის გაძლიერებისათვის ხელი შეეწყოს [11].

საქართველოში გამომავალი რუსულენოვანი და რუსული ორიენტაციის მქონე, ასევე იმპერიის სხვა რეგიონების რუსული პრესის იდეოლოგიის წინააღმდეგ დაპირისპირებულმა ქართულმა პუბლიცისტიკამ, რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ დაწყებული რეაქციის ხანაში, მოახერხა ქართველი ერის შელახული ინტერესების დაცვა, მისთვის სიმართლის, ბრძოლისა და მომავლის გზების ჩვენება. ამ ეპოქის ქართული ეროვნული პრესის დამსახურებაც არის ეროვნული იდეის გადარჩენა, იმ სულიერი დეპრესიის განღებვა, რომელიც ქართველ ხალხს დროებით დაეუფლა ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვისა და 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ გამეფებული ტერორის გამო.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროება“, 1909, №4.
2. ა. ჯაჯანაშვილი, „ანწყო და მომავალი“, „დროება“, 1909, №4.
3. გაზეთი „საქართველო“, 1916, №3.
4. ა. ჯორჯაძე, „გარდამავალი ხანა“, „დროება“, 1909, №228.
5. გაზეთი „დროება“, 1909, №230.
6. გაზეთი „დროება“, 1909, №50.
7. გ. ჭუმბურიძე, „ერის გადაგვარება“, „დროება“, 1909, №13.
8. გაზეთი „საქართველო“, 1916, №3.
9. გაზეთი „დროება“, 1909, №254.
10. ჟურნალი „კლდე“, 1914, №5.
11. გაზეთი „ერი“, 1914.
12. გაზეთი „დროება“, 1909, №271.

Miranda Tkeshelashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Research worker of the Shota Rustaveli
Institute of Georgian Literature*

National Paradigms of the Georgian Press at (the Beginning of the 20th Century)

Summary

At the beginning of the twentieth century, Russian newspapers, which had been published in Tbilisi, served to protect Russian colonial policies, Russian and Armenian interests. It has criticized the Georgian people and its national interests, eliminated all Georgian national phenomena. The Russian press has played a negative role in the development of the Georgian public life. It has confronted each other's social-political circles, supported terror and repression against Georgian national forces, tried to humiliate national values of Georgians. On the other hand, the Georgian National Press tried to convincingly and logically answer to the anti-Georgian publications of Russian periodical publications.

The article describes how the Russian press has criticized the public national ideals of the leading circles of the Georgian people, how Georgian Democratic Press protected national interests.